გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 133

2020 წლის 9 ოქტომბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გორში, ჭავჭავაძისა და სტალინის ქუჩის გადაკვეთაზე მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელში (ს/კ 66.45.18.148) განთავსებული N5 კომერციული დანიშნულების ობიექტის, 4.27 კვ.მ უძრავი ქონების, პირობიანი აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით, ოჯარით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ:

გორის მუნიციპალიტეტის მერიას 2020 წლის 21 აგვისტოს №17976 განცხადებით მომართა ფ.პ ნინო ელიაურმა (პ/ნ 59601133614), სადაც ფ.პ ნინო ელიაური ითხოვს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწისქვეშა გადასასვლელში მდებარე კომერციული დანიშნულების ობიექტის (მის: სტალინის და ჭავაჭავაძის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული მიწისქვეშა გადასასვლელი - მაღაზია N5) ს/კ 66.45.18.148, ფართობით 4.27 კვ.მ - ის, ოჯარით აღებას.

აუდიტორული კომპანიის შპს „აუდიტ-ეკონომიქსი"-ს მიერ 2020 წლის 16 სექტემბრის „უძრავი ქონების შეფასების ანგარიშით", გრ-№57 დასკვნით, გორი, სტალინის და ჭავჭავაძის გადაკვეთაზე არსებულ მიწისქვეშა გადასასვლელში ს/კ (66.45.18.148), N5 არასაცხოვრებელი ფართი 4.27 კვ.მ, საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 4 700 ლარით.

გამომდინარე იქიდან, რომ გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლების მიღების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, გორის მუნიციპალიტეტის

საკუთრებაში არსებული, გორში, სტალინის და ჭავჭავაძის გადაკვეთაზე მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელში ს/კ (66.45.18.148), N5 კომერციული ფართი, 4.27 კვ.მ, პირობიანი აუქციონის წესით, დროებითი სარგებლობის უფლებით (იჯარა) გაცემა, რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო ღირებულება და ქირის საწყისი წლიური საფასური.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის, საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1.მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გორში, სტალინის და ჭავჭავაძის გადაკვეთაზე მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელში ს/კ (66.45.18.148), N5 კომერციული ფართი, 4.27 კვ.მ უძრავი ქონება გასცეს, სარგებლობის უფლებით, იჯარით, ელექტრონული აუქციონის ფორმით.

2.მიწისქვეშა გადასასვლელში, ს/კ 66.45.18.148, N5 კომერციული ფართის 4.27 კვ.მ, საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 4 700 ლარით.

3. საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 480 (ოთხასოთხმოცი) ლარით.

4. იჯარით გადაცემის ვადა განისაზღვროს 1 (ერთი წლის ვადით).

5. აუქციონის პირობად განისაზღვროს, ქ. გორში, ჭავჭავაძისა და სტალინის ქუჩის გადაკვეთაზე მდებარე, მიწისქვეშა გადასასვლელში (ს/კ 66.45.18.148), N5 უძრავი ქონება გაცემულ იყოს კომერციული დანიშნულებით (სავაჭრო ობიექტის მოსაწყობად) ასევე, N5 უძრავი ქონების მიმდებარედ განხორციელდეს მოვლა-პატრონობა (სანიტარული, ჰიგიენური ნორმების დაცვა).

6. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

7. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე